

Nestan Kutivadze

ნესტან კუტივაძე

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Peculiarities of the Artistic Representation of Violence in a Literary Text

(Vazha-Pshavela, George Orwell)

ძალადობის მხატვრული რეპრეზენტაციის თავისებურებები ლიტერატურულ ტექსტში (ვაჟა-ფშაველა, ჯორჯ ორუელი)

A literary tale "The Bear" (1909) by the famous Georgian writer Vazha-Pshavela and a dystopian novel "Animal Farm" (1945) by the famous English novelist George Orwell were written in the same period. Despite this, there is a much larger historical distance between these two texts in terms of socio-cultural context. In the artistic transformation of society based on violence, both writers turned to the animal world. Vazha-Pshavela chose the predator while Orwell featured domestic animals as characters. Both texts show well the almost stereotypical nature of violence, the dramatic nature of the loss of freedom, the social misery of a conquered society.

Keywords: morality, culture, representation of violence, artistic text.

მხატვრულ ტექსტში სხვადასხვა ფორმით თითქმის ყოველთვის განსახილველად თანამედროვეობა. მასში რეპრეზენტირებული სამყარო საზოგადოებრივი შინაარსისა და მნიშვნელობის მატარებელია. ადამიანი ძალაუფლების მოპოვებისაკენ მიდრეკილი აღმოჩნდა ოდიოტურად. ამას ხშირად საფუძვლად არსებობისათვის ბრძოლა ედო, თუმცა კაცობრიობის ისტორია, როგორც წარმოსახული, ისე რეალური, ძლიერისა და სუსტის დაუსრულებელი, მუდმივი წინააღმდეგობაა. ამ დაპირისპირებას თავისი არსით ეწინააღმდეგება მორალის, ზოგადად, კულტურის პარადიგმა, რასაც მხატვრულ ტექსტებში ძალადობის რეპრეზენტირების თავისებურებები კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს. ლიტერატურულ ტექსტში არაჰუმანური, ძალადობაზე დამყარებული საზოგადოების ჩვენებით მწერლები ცდილობენ სწორედ რეალური ძალადობის წინააღმდეგ გაილაშქრონ, სისასტიკით დაბრმავებული ადამიანის დამახინჯებული სახის მამხილებელი სურათი შექმნან.

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ავტორების მიერ ამ თემის მხატვრული რეფლექსია კარგად აჩვენებს თავად ძალადობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ არაერთ საერთო ნიშანს. შიში, წინამძღოლის განდიდება, განუკითხაობა, ძალმომრეობა, ფარისევლობა და სხვ., რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა კონკრეტული ფორმით გამოვლინდეს, თავისი არსით ერთი და იგივეა.

გამოჩენილი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი „დათვი“ (1909) და ცნობილი ინგლისელი პროზაიკოსის ჯორჯ ორუელის დისტოპიური რომანი „ცხოველთა ფერმა“ (1943–1944) ერთ საუკუნეში დაიწერა. ამის მიუხედავად, ამ ორ ტექსტს შორის საზოგადოებრივ-

კულტურული კონტექსტის მხრივ გაცილებით დიდი მანძილია. განსხვავებულია იმ ქვეყნებში არსებული ისტორიული ვითარება, რომლებშიც ეს თხზულებები იწერება. საქართველო რუსეთის მიერ დაპყრობილი, სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პროვინციაა, ინგლისი კი მეორე მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში მყოფი რუსეთის მიერ მოდერნიზებული ახალი იმპერიის – საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე, თუმცა უკვე თვალნათელია ტოტალიტარული სახელმწიფოებს არსებობა იტალიის, ბოლშევიკური საბჭოთა კავშირის თუ ნაცისტური გერმანიის სახით. საგულისხმოა, რომ ორუელი ტოტალიტარიზმის შესაძლო გაბატონებას პირდაპირ აკავშირებდა მხატვრული ლიტერატურის დასასრულთან (ორუელი, 2016, გვ. 322), რადგან „მკვეთრი და უცაბედი ემოციური გადაფასებანი, რომელსაც თავის მიმდევართაგან, ან უმჯობესია ვთქვათ, თავის მსხვერპლთაგან ითხოვს ტოტალიტარიზმი, ფსიქოლოგიურად წარმოუდგენელია“ (ორუელი, 2016, გვ. 324), რის დასტურადაც მოჰყავდა სწორედ ზემოთ ნახსენებ სამ ქვეყანაში არსებული შემოქმედებითი ატმოსფერო. გამოსავალს კი ისეთ სახელმწიფოებრივ სისტემაში ხედავდა, რომელიც ადამიანს „შეუნარჩუნებს აზროვნების და გამოხატვის თავისუფლებას“ (ორუელი, 2016, გვ. 325).

ადამიანის თავისუფლების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ვაჟა თავის წერილებში („რას ჰქვია თავისუფლება“, „რა არის თავისუფლება?“), რომლებშიც, მართალია, 1905–1907 წლების ისტორიული ვითარება და საზოგადოებრივი შეხედულებებია არეკლილი, მაგრამ პროზაიკოსი ზოგადად ძალადობის დამლუპველ ბუნებაზე აპელირებს, „თავისუფლებას ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეულ ბედნიერებას“ უწოდებს და („რა არის თავისუფლება?“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 411) დარწმუნებულია, რომ, ადრე თუ გვიან, თავად „თავისუფლების მტაცებლებს“ ბუმერანგით უბრუნდებათ საკუთარი ძალადობა, გამოსავალს კი „ერის საერთო სიმწიფეში, განათლებასა და ცოდნაში ხედავს“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 411).

ძალადობაზე დამყარებული საზოგადოების მხატვრული ტრანსფორმაციისას ორივე მწერალმა ცხოველთა სამყაროს მიმართა. ვაჟა-ფშაველამ მტაცებელი, ხოლო ორუელმა შინაური ცხოველები გამოიყვანა პერსონაჟებად.

ფოლკლორისტიკაში კარგად არის ცნობილი, რომ ცხოველთა ზღაპრებს ალეგორიზმი არ ახასიათებს, არც ეთიკის კანონებით არის შესაძლებელი ცხოველთა ქცევის განსჯა, აქ მთავარი არსებობისათვის ბრძოლაში გამრჯვებაა. „ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი არ არის უარყოფითი თვისებების ან გასაკიცი სოციალური ფენის წარმომადგენელი ადამიანის ალეგორიული სახე“ (ჩოლოყაშვილი, 2002, გვ. 532).

ლიტერატურული ზღაპარი, ლიტერატურულ ტექსტში შემოყვანილი ცხოველთა სამყარო გამორიცხავს ამგვარ იმმორალიზმს, ფოლკლორული ტექსტისაგან განსხვავებით, რომელშიც გონება-მახვილობისა და მოხერხებულობის წყალობით მიიღწევა სასურველი შედეგი, ამ შემთხვევაში ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი გაცილებით მრავალმრიანია.

როგორც აღნიშნავს ფოლკლორისტი რუსუდან ჩოლოყაშვილი, „ცხოველთა ზღაპრებში ალეგორიულ გააზრებას მხოლოდ მეცნიერები დებენ, რომლებიც ცდილობენ შესაძლებლობის ფარგლებში ახსნან ამ ნაწარმოების დედააზრი – რისთვის შეიქმნა ეს ზღაპარი?“ (2002, გვ. 534).

თუ ცხოველთა ზღაპრების მიზანდასახულობის ახსნას მეცნიერები მისი ალეგორიული გააზრებით ცდილობენ, ლოგიკურია საზოგადოების უმწვავესი სურათის ალეგორიულ ასახვად იქნას მიჩნეული მხატვრული ტექსტი, რომელიც ცხოველთა სამყაროდან აღებული პერსონაჟების გარდა, ამგვარი ინტერპრეტაციისათვის სხვა არაერთ დეტალს შეიცავს. გასათვალისწინებელია, რომ მწერალთა მიერ ცხოველებისა და ფრინველების სიმბოლური გააზრება, სხვა პლასტებთან ერთად, მოიცავს მათზე არსებულ ზოგად წარმოდგენებსაც, ამასთან, განსაზღვრულია მხატვრული ჩანაფიქრით, რაც იმთავითვე გასაგებს ხდის ტექსტის ალეგორიზმს, რომ იოლად გამოსაცნობი იყოს ავტორის მინიშნებები.

„დათვი ქართულ ცხოველთა ეპოსში საკმაოდ პოპულარული პერსონაჟია. დათვი აქ გვხვდება რამდენიმე ტიპის ზღაპარში, სადაც მისი სახე ერთფეროვანი არ არის: ის ზოგან – გულუბრყვილოა (მელიასთან), ზოგან – მშიშარა (კატასთან), სხვაგან გლეხებს თვითონ აშინებს, მაგრამ ყველა ზღაპარში ბოლოს იღუპება. მხოლოდ ერთი ტიპის ზღაპარშია ის ძლიერი, დანარჩენ ცხოველთა რისხვა და გამარჯვებული“ (ჩოლოყაშვილი, 2005, გვ. 52).

ქართული ფოკლორული ტექსტებისაგან განსხვავებით, დათვი როგორც კირლოტის, ისე ტრესიდერის სიმბოლოთა ლექსიკონის მიხედვით, განიხილება უხეში ძალის, ქვეცნობიერის ბნელი მხარეების, სიხარბის სიმბოლოდ, უხეში და სასტიკი ადამიანის ატრიბუტად, თუმცა მასვე მიაწერენ გამბედაობასა და დედობრივ ზრუნვას (Трессидер, 2010-2023; Cirlot, 2001, p. 23).

მრავალპლანიანი დატვირთვა აქვს დათვს, როგორც პერსონაჟს, ვაჟა-ფშაველას ამავე სახელწოდების ტექსტში. ადამიანზე გამარჯვებული, კმაყოფილი და საკუთარი ძლიერებით ბედნიერი დათვის ცხოვრების ფილოსოფია ძალმომრეობაზეა აგებული. ის ძალას მხოლოდ საკვების მოსაპოვებლად არ იყენებს, ძალმომრეობა დიდ სიამოვნებასაც ანიჭებს. ადამიანებთან საკუთარი კარმიდამოს დასაცავად გადახდილი ომის შემდეგ კი თავს სისასტიკით იწონებს.

დათვის სამოქმედო დოქტრინაში პირდაპირ აირეკლება ძალმომრეობაზე აგებული საზოგადოება, რომელიც თავადვე უწყობს ხელს ძლიერს მორჩილებაში ჰყავდეს არამხოლოდ სუსტები. საგულისხმოა, რომ ბიძია დათუნია, როგორც მწერალი უწოდებს, ადამიანის უსამართლობით ხსნის საკუთარ საქციელს, შეუპოვრებს კი ბრიყვებად მიიჩნევს. *„ვიდრე ერთი ურჩია ქვეყანაზე, ჩემი ბედნიერად ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. სრულს ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებ, როცა ურჩნი მთლად გასწყდებიან, აღიფხვრებიან პირისაგან ქვეყნისა. ამიტომ საჭიროა ყველას გონების ჩარხი ასე მოიმართოს, ასე ფიქრობდეს და სხვაგვარად არა: დაემორჩილებით უძლეურნი ძლიერთა, რამეთუ მათ ხელთ არის სიცოცხლე თქვენი, ე.ი. ჩვენიო“* (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 260), – აცხადებს ყველას დამორჩილების სურვილით გაშმაგებული დათვი.

ტექსტის მიხედვით, ადამიანზე გამარჯვება „ბიძია დათუნისა“ მხეცთა შორისაც ღირსებას ჰმატებს, რადგან მხეცებს მიაჩნიათ, რომ „გამარჯვება დათვისა საერთოდ მხეცთა გამარჯვებას მოასწავებდა ადამიანთა ტომზე“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 261). ნიშანდობლივია, რომ ლომი უიარაღო ხალხის დახოცვაში მისალოცს ვერაფერს ხედავს და არც დათვის ძლიერებას აღიარებს, ასევე იქცევა ვეფხვიც.

როგორც ეს პასაჟი, სხვა ცხოველების ქცევაც ალეგორიულად საზოგადოების ანარეკლია. დათვს ულოცავენ მგლები, ადიდებენ მელიები და ლომსა და ვეფხვს გმობენ, ტურები ხოტბას ასხამენ, მაჩვები უჩოქებენ და თავს უმცროს ძმებს უწოდებენ, შორიდან ულოცავენ დამფრთხალი კურდღლები, „ფეხის ხმას აყოლილი“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 263) ვირი კი მილოცვებისაგან დაღლილი და მოშიებული დათვის პირველი ლუკმა ხდება. „მამასადამე, სრული, უნაკლულო, ნამდვილი მილოცვა – ვირისა გამოდგა, რადგან მთელი თავისი არსება ძღვნად მიართვა თავის ბატონს. ბატონყმობა, თუ ვიტყვით, ამისთანა უნდა სწორედ“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 264), – ამბობს მწერალი. ამ სარკაზმით ვაჟა-ფშაველა ფარისევლობის სავალალო შედეგს აჩვენებს. ვირი ცოცხალი გადარჩებოდა, სხვების მსგავსად მილოცვა რომ არ გადაეწყვიტა. „დათვის შეხედულება, აზრი მსოფლიო ცხოვრებაზე ასეთი გახლავთ საზოგადოდ: თუნდა სტუმრად მივიდეს ვინმე მასთან, თუნდა მისალოცად, ნამეტნავ მაშინ, როცა ჰშიან, უნდა შაჭამოს. სიმშლილი თავისთვის იყოს, – ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 264), – ამგვარად აფასებს მწერალი მოძალადის ფილოსოფიას. ის არ იცვლება, მისგან განსხვავებულ ქმედებას არავინ არასდროს უნდა ელოდეს.

მოძალადის ბოროტი ბუნება აისახა დათვის მზაკვრულ გეგმაში. სოფლის დაწიოკებას ძლიერის ქებასთან ერთად მოჰყვება შედეგი, რადგან, მისი აზრით სოფლელებს *„...უფრო მომეტებული ჩვენი ხათრი მაშინ ექნებათ, როცა დაშინებულნი და შეძრწუნებულნი იქნებიან ჩვენ მიერ. ხოლო*

ერთი უნდა გახსოვდეთ, სახელი ჩემი და აბრუ აღამაღლეთ ქვეყნის თვალში ქებითა და დიდებითა, რათა თქვენც აღმალდეთ“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 262), – ამბობს დათვი. ცხოველთა შემთხვევაში, ასე ყალიბდება საზოგადოების მართვის მოდელი, რომლის ნაწილია ლიდერის განდიდებაც. დათვის ძალმომრეობა როგორც მტაცებლების, ისე ადამიანების სრულ მორჩილებას გულისხმობს. სოფელს ახლა დათვის ნაცვლად, მაგრამ მისივე დავალებით, აწიოკებენ მეღიები, ტურები, მგლები, მაჩვები. მათგან გამწარებული გლეხები კი დათვის ავკაცობას ივიწყებდნენ და „თითქმის ემადლიერებოდნენ“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 268) იმას, ვინც მათი უბედურების მთავარი მიზეზი იყო.

ტექსტში ძალადობრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი არაერთი ნიშანი კარგად ინტერპრეტირდება, მათ შორის, დასმენაც. დათვის „სრასახლის“ კარზეც ჯაშუშები მრავლად გაჩნდნენ „თუ დათვი გაიმარჯვებდა, ყველა მათგანი უსათუოდ უნდა დიდს ბედნიერებას მოჰსწრებოდა. ასე ჰქონდა ყველა ჯაშუშს აღბეჭდილი წარმოდგენა გულსა და გონებაში“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 264), – აღნიშნავს მწერალი. საგულისხმო პასაჟია, რომ საკუთარი კეთილდღეობის მიზნით ჩადიან ამ საქციელს, თუმცა არც იციან და არც ფიქრდებიან დაპირებული მოწყალება, ან თუნდაც დიდი ბედნიერება რას გულისხმობს.

ტექსტში გადმოცემული ამბის შემდგომი განვითარებაც სოციუმის მანკიერებებს მკაფიოდ აჩვენებს. მელია დაასმენს კურდღელს, დამხობას გიპირებენო (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 264), მგლებიც დათვს ერთგულებას შვლების, ირმების, არჩვებისა და ღორების დასმენით უმტკიცებენ. მაჩვიც დათვს სოფელში შეთქმულების მზადების შესახებ აფრთხილებს. ტექსტში კარგად ჩანს, ძალა და თავდაჯერებულობა როგორ აღუნებს სასტიკ არსებასაც კი, რადგან დარწმუნებულია, რომ „სიფრთხილე სისუსტეს ეწამლება მხოლოდ და უნდა იწამლოს კიდევაც, რომ ფონს გავიდეს“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 267), – ასეთია დათვის სამოქმედო კრედო.

ნიშანდობლივია, სინამდვილეში ამ სახის ძალა მოჩვენებითია და რეალურად ის შიშზე დგას. ეს კანონზომიერება არც ვაჟას ზღაპარში ირღვევა. აღმოჩნდება, რომ დათვის ტახის მოელვარე ეშვების დათვს ეშინია და სულაც არ არის დაუმარცხებელი.

დრამატული და მრავლისმთქმელი ალეგორიაა ის სურათი, რომელსაც პროზაიკოსი დათვის სიკვდილის შემდეგ ხატავს. ტახების მიერ დათვის მოკვლა მელას სიამოვნებს, მაგრამ მანც გაიძახის, ღალატით მოკლესო, კურდღლებს უხარიათ, ხოლო დათვისგან წყალობის მომლოდინეებს სწყინთ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 270). ტექსტის მიხედვით, არც მტაცებელთა ფარისევლობა იცვლება. თავიანთი ბატონის ლეშით გამძღრები ერთმანეთის მოსაჩვენებლად ცრემლებს ღვრიან, გვამს დიდებით მიაბარებენ მიწას, ძეგლად კი მხეცთაგან გამოხრული ძვლების კომპლას აღუმართავენ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 270).

ზღაპარში აღწერილი ამბავი კიდევ უფრო დიდი ძალმომრეობით სრულდება. ტურა, აფთარი, მგლები ... ისევ იმორჩილებენ დანარჩენებს, „სამშობლოსათვის თავდადებული“ დათვის გვარის სადიდებლად და ერთგულების დასამტკიცებლად აჩოქებენ და აბღავლებენ. „მათი ხმა ჯოჯოხეთის ცეცხლში ტანჯულთა გოდებას მოაგონებდა ადამიანს“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 271). მტაცებელნი დღესასწაულობენ, დანარჩენები იხოცებიან ან გარბიან, რომ თავს უშველონ. „გოდება ისმოდა ყოველი მხრით, ხოლო შებრალება არსაიდან“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 271),– ასე სრულდება ტექსტი, რომელიც მთლიანად აირეკლავს რუსეთისაგან დაპყრობილი მამულის, სოციალურად დაბეჩავებული ადამიანის, სიცრუითია და ორპირობით სავსე საზოგადოების უნუგემო და უმძიმეს მდგომარეობას, როდესაც გამოსავალი თითქმის არ ჩანს, არ იცვლება მოძალადის ბუნება და ძალადობის არსი, ყოველგვარი წინააღმდეგობა მარცხდება, რასაც შედეგად მეტი სისასტიკე მოსდევს.

ის, რაც ვაჟა-ფშაველამ თავის ლიტერატურულ ზღაპარში საკმაოდ აგრესიული ფორმით, გარეული ცხოველების მეშვეობით განასახოვნა, ჯორჯ ორუელის „ცხოველთა ფერმაში“ თანდათან ხდება. ტექსტის პერსონაჟები შინაური ცხოველები არიან, თუმცა არანაკლებ სასტიკია მათი

მეშვეობით დახატული რეალობაც. გაცილებით მრავალშრიანია ალეგორიაც, რომელიც პირდაპირ აირეკლავს ტოტალიტარული სახელმწიფოს არსს, ტექსტში იოლად ამოსაცნობია კავშირი ისტორიულ ფიგურებსა თუ მოვლებებს შორის, მაგრამ ამასთან ერთად რომანი აჩვენებს ძალადობის ხასიათს, მის ბუნებას ზოგადად.

რომანის მთავარი გმირი ღორი ნაპოლეონია. ისტორიული ფიგურის სახელი მიზანმიმართულია და სწორედ იმის აღმნიშვნელია, რომ რომანი სხვა არაერთი სავარაუდო ანალოგიის მიუხედავად, არ ასახავს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ისტორიულ ფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ ღორი, როგორც სიმბოლო წინააღმდეგობრივი სახეა. ის გამოხატავს სიხარბეს, უმცრებას, სიჯიუტეს, ვნებას, თუმცა, ამავე დროს, დედობისა და ნაყოფიერების განსახიერებაცაა (Трессидер, 2010-2023a), თუმცა ტექსტში სხვა თვისებებითაც ხასიათდება.

„ადამიანის ტირანიისაგან“ გათავისუფლებული ცხოველები ღორი მეიჯერის იდეების საფუძველზე „ენიმალიზმის“ მოძღვრებას აყალიბებენ, კატეგორიულად ემიჯნებიან ადამიანებს და თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე აგებული სახელმწიფოს მშენებლობას იწყებენ. „ენიმალიზმის“ არსის გამომხატველი მცნებები, რომ არასდროს დაივიწყონ, ჭიმკარზე აქვთ წარწერილი და შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „1. ორ ფეხზე მოსიარულე ყველა არსება მტერია. 2. ყველა ოთხ ფეხზე მოსიარულე ან ფრთოსანი არსება მეგობარია. 3. არც ერთი ცხოველი არ ჩაიცვამს ტანსაცმელს. 4. არც ერთი ცხოველი არ დაიძინებს საწოლში. 5. არც ერთი ცხოველი არ დალევს ალკოჰოლს. 6. არც ერთი ცხოველი არ მოკლავს სხვა ცხოველს. 7. ყველა ცხოველი თანასწორია“ (ორუელი, 2012, გვ. 25). შესაბამისია დროშის სიმბოლიკაც. „დროშის მწვანე ფერი, სნოუბოლის განმარტებით, გამოხატავდა ინგლისის ველთა სიმწვანეს, ხოლო ჩლიქი და რქა – ცხოველთა მომავალ რესპუბლიკას, როდესაც ადამიანთა მოდგმა საბოლოოდ დაემხოდა“ (ორუელი, 2012, გვ. 30). ასე მკაფიოდ და რადიკალურად გაიმიჯნენ ადამიანები და ცხოველები ერთმანეთისაგან, თუმცა ფერმის იდილია, როგორც მოსალოდნელია, მალე ირღვევა.

ალეგორიზმის მასშტაბით ორუელის ტექსტი გაცილებით ფართოა და შეიცავს ძალადობრივი საზოგადოების / ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ არაერთ დეტალს: ინერგება შიში, ჩნდება მტრის ხატი განდევნილი მეპატრონის სახით.

ნაპოლეონი თავისი გამოზრდილი ძალების მეშვეობით ჩამოცილებს ცხოველთა ამბოხის ერთ-ერთ ხელმძღვანელს სნოუბოლს, უმთავრესად რკინისებურ დისციპლინას მიიჩნევს, ექვემდებარება აყენებს სნოუბოლის გმირობას ადამიანების წინააღმდეგ გამართულ გომურის ბრძოლაში და შეახსენებს ცხოველებს ჯოუნზის დაბრუნების საფრთხეს. ღორ სქვილერის მეშვეობით ტაქტიკურ სვლად გამოაცხადებს თავის დროზე წისქვილის აშენების წინააღმდეგ გალაშქრებას, სნოუბოლს საშიშ მტრად, წისქვილის აშენების იდეას საკუთარ მოსაზრებად, თანდათან შრომა უფრო მონური ხდება, იკლებს საკვები, იმატებს მოჩვენებითობა, ცხოველების ცხოვრება მხოლოდ სქვილერის დავთრებში უმჯობესდება.

ძალადობაზე დამყარებულ საზოგადოებაში შექმნილ ატმოსფეროს კარგად გამოხატავს ნაპოლეონის მიერ მოწყობილი სასამართლოები. ხოცავენ ღორებს, ქათმებს, ბატებსა და ცხვრებს იმ დანაშაულისთვის, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ, მაგრამ ძალების შიშით „ყოველგვარი შემდგომი მითითების გარეშე“ (ორუელი, 2012, გვ. 69) აღიარებენ სნოუბოლთან საიდუმლო კავშირს. რომანის ეს პასაჟი საბჭოთა კავშირში დატრიალებული 1930-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების საკმაოდ მკაფიო ალეგორიაა, მაგრამ, თუ ამ კონკრეტული ისტორიული კონტექსტის გარეშე განვიხილავთ ამ ეპიზოდს, ის ძალადობრივი ეპოქების უნივერსალურ სურათადაც გამოდგება, რადგან საუკუნეების განმავლობაში არაერთი იმპერია მდგარა სისხლზე, შიშსა და ასეთი სისასტიკისაგან მიღებულ შოკზე, რომლის გადააზრებას დრო ჭირდება და რაზეც აპელირებს ავტორი, როდესაც წერს: „მათ უკვე აღარ იცოდნენ, რა უფრო დიდი საშინელება იყო: ზოგიერთი ცხოველი დალატი, როცა ისინი სნოუბოლს შეეკრნენ, თუ ეს უმოწყალო ქლუტა, რისი მოწმენიც დღეს გახდნენ“ (ორუელი, 2012, გვ. 70).

აჯანყების დროინდელ წარმოდგენებსა და დამდგარ რეალობას შორის გარდატეხა სისხლიანმა ხოცვა-ჟლეტამ გამოაჩინა. ცხოველებს სურდათ თანასწორობასა და თანაგრძნობაზე დაფუძნებული საზოგადოება შოლტისა და შიმშილის გარეშე და არა ძალმომრეობით სავსე ყოფა საგულისხმოა, რომ ქლოვერს, რომელიც ადეკვატურად აღიქვამს რეალობას, სიტყვები/განათლება არ ჰყოფნის, მოვლენებს რომ თავისი სახელი დაარქვას და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს. ამ უნარის განვითარება, თუ ტექსტის კანონზომიერებაში დავრჩებით, სხვადასხვა ცხოველს ისედაც განსხვავებული აქვს, მაგრამ ნაპოლეონის მიერ ასეთი შესაძლებლობაც სკოლების დახურვით გააზრებულად ისპობა, რაც ასევე მრავლისმთქმელი პასაჟია.

როგორც წესი, ძალმომრეობა თანდათან ივრცობა და თავისუფლების ყველა ნიშანს აქრობს. ასეა ამჯერადაც. უქმდება ამბოხების დროინდელი სიმღერა, რადგან ბელადს მიაჩნია, რომ დასჯით აჯანყება დასრულებულია, „გარე თუ შინა მტერი – ორივე დამარცხებულია“ (ორუელი, 2012, გვ. 73). სიმღერაში „მხენო ინგლისის“ გადმოცემული იდეა შესრულებულია, მომავალი, უკეთესი საზოგადოება შექმნილია (ორუელი, 2012, გვ. 73). ამ უკანასკნელის ნაცვლად პოეტი მინიმუსი ახალი სიმღერას წერს „ცხოველების ფერმის“ უძლეველობაზე.

შემთხვევითი არაა, რომ ტექსტში ნაპოლეონს მოიხსენებენ ტიტულებით: „ჩვენი ხელმძღვანელი, ამხანაგი ნაპოლეონი“, „ცხოველთა ძმა“, „ადამიანთა რისხვა“, „ცხვართა მფარველი“ (ორუელი, 2012, გვ. 75) და სხვ., მღერიან მის სადიდებელ სიმღერას, ამკობენ ეპითეტებით: „უმამოთა მეგობარო“, „კეთილ იღბლის წმინდა წყარო“, „სალაფავთა მეუფეო“, „დიდო ძია“ (ორუელი, 2012, გვ. 76). საკვების შემცირებასთან ერთად, რომელსაც გადანაწილებას უწოდებენ, ფერმაში იმატებს სანახაობა. ფერმაში ადრე დაწესებულ ცხოველთა გმირის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებს, „გომურის ბრძოლის“, ამბოხების და სხვა დღესასწაულებს ემატება ყოველკვირეული გამარჯვებების აღსანიშნად მოწყობილი „სტიქიური დემონსტრაცია“ და „ნაპოლეონის პატივსაცემად შეთხზული ლექსების საჯარო კითხვა“ იმართებოდა (ორუელი, 2012, გვ. 91), ადიდებენ ნაპოლეონს და ისმენენ მიღწევების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ზეიმის ყველაზე მორჩილი მონაწილეები ცხვრები არიან, რომლებიც თავიანთი მუდმივი მამებლობით საზოგადოების დიდ ნაწილს ასახავენ ალეგორიულად.

ერთ-ერთი დასამახსოვრებელი პერსონაჟია მოსე ყორანი. ტექსტის მიხედვით, ის ჯამში და მატყუარაა, კარგა ხნის გაუჩინარების შემდეგ, კვლავ ჩნდება და ისევ „მაქარყინულის მთაზე“, „სამყურას უჭკნობ ველებსა“ და „სელის თესლის ნამცხვარსა და ნატეხ შაქარზე“ (ორუელი, 2012, გვ. 93) იწყებს საუბარს. მართალია, მისი არ სჯერათ, მეტიც, ეზიზღებათ ღორებს, მაგრამ არც ხელს უშლიან, რომ გაწბილებულ ცხოველებს ასეთი იმედი გაუღვივოს (ორუელი, 2012, გვ. 93). ეს ყოველივე სრულ ჰარმონიაშია ცხოველთა საზოგადოების მართვის ფერმისეულ პრინციპებთან, ამავე დროს, არც მნელად ამოსაცნობი ალეგორიაა.

ძალადობრივ საზოგადოებაში ადამიანის ღირებულებას აჩვენებს ერთგული და მშრომელი ცხენის, ბოქსერის, აღსასრული. ის ცხოვრობს ორი დევიზით: „უკეთესად ვიმუშავე“ და „ნაპოლეონი ყოველთვის მართალია“ (ორუელი, 2012, გვ. 49), მაგრამ, როგორც კი ვედარ შეძლებს შრომას, მაშინვე სასაკლაოზე მიჰყავთ, მის სიკვდილს კი ისევ ნაპოლეონის განსადიდებლად იყენებენ (ორუელი, 2012, გვ. 98–99).

„არაფერი შეცვლილა უკეთესობისაკენ ან უარესობისაკენ, რადგან შიმშილი, სიძნელეები და გულის ავრუება ცხოვრების მარად უცვლელი წესი არისო“ – ამბობს ვირი ბენჯამინი (ორუელი, 2012, გვ. 102), რომლის მეშვეობით რიგითი ადამიანის მდგომარეობა და მსოფლმხედველობა შემოაქვს ავტორს. ასეთი ადამიანები ცვლილებებს არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ დიდი მოლოდინიც არასდროს აქვთ, იმთავითვე ბედთან შეგუებული არიან. სწორედ ამგვარ ნიჰილიზმს შეიცავს რევოლუციის დასაწყისში ნათქვამი მისი სიტყვები, რომ ვირები დიდხანს ცოცხლობენ (ორუელი, 2012, გვ. 59).

ტექსტის მიხედვით, ცხოველები ბევრი გაჭირვების მიუხედავად, მაინც კმაყოფილები არიან, რადგან თვლიან, რომ უკეთ ცხოვრობენ და თავისუფლები არიან, წარსულში კი მონები იყვნენ (ორუელი, 2012, გვ. 89), ეამაყებთ „ცხოველების ფერმის“ წევრობა და იმედი აქვთ, რომ მეიჯორის ნაწინასწარმეტყველებ ცხოველთა რესპუბლიკასაც შექმნიდნენ, სადაც არ „იჭაჭანებდა“ ერთი ადამიანი კი (ორუელი, 2012, გვ. 103). მწერლის ამგვარი აქცენტები აძლიერებს ალეგორიულ პლანს. ცხოველები ბრმად მისდევენ ილუზიებს, მაშინ როდესაც ღორები ცდილობენ დაემსგავსონ ადამიანებს და ორ ფეხზე იწყებენ სიარულს.

ძალადობის ხასიათი ვლინდება ფერმაში არსებული მცნებების ცვლილებით, რომელიც, როგორც წესი, შეფარულად ხორციელდება. თუ პირველად ვაჭრობის აუცილებლობით აიხსნება ადამიანთან ურთიერთობისა და ფულის გამოყენების აკრძალვის გაუქმება (ორუელი, 2012, გვ. 54–55), სისხლიანი რეპრესიებისაგან მოგვრილი შიშის განულებების შემდგომ ამჩნევენ ცხოველები მეექვსე მცნებაში „არც ერთი ცხოველი არ მოკლავს სხვა ცხოველს უმიზეზოდ“ (ორუელი, 2012, გვ. 74) ჩამატებულ სიტყვას – „უმიზეზოდ“, რითაც სავსებით იცვლება სინამდვილის აღქმა. სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილის სისხლი უმიზეზოდ დაღვრილ სისხლად ვერ ჩაითვლება. ასევე, ჩუმიად იცვლება მეშვიდე მცნებაც, რომლის მიხედვითაც, ცხოველებს შეეძლოთ ალკოჰოლის დაღვრა, ოღონდ ის „დიდ რაოდენობით არ უნდა დაელიათ“ (ორუელი, 2012, გვ. 87). ბოლოს ფერმის კედელზეც ერთადერთი წარწერა რჩება: „ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები“ (ორუელი, 2012, გვ. 105). მკითხველისთვის ცხადია, რომ ასეთი პარადოქსული შეხედულების მცნებად ქცევით, ავტორი ძალადობაზე აგებულ სოციალურ უმში თანასწორობის იდეის აბსოლუტურ დევალაციას და ძალადობის დაკანონებას უსვამს ხაზს.

ტექსტის დასასრულს სარკასტულად და ერთგვარად გამაფრთხილებლადაც ჟღერს ადამიანებისა და ღორების ღრეობაზე მეზობელი მამულის მეპატრონის, პილკინგტონის, სიტყვები: „ეს იყო დრო, როცა ადამიანებს ეგონათ, რომ ღორების ხელმძღვანელობით მართული ფერმა წარმოადგენდა რასმე არანორმალურს და შეეძლო ზიანი მიეყენებინა გარშემომყოფათვის“ (ორუელი, 2012, გვ. 107), შემზრავია ამ გამოცდილების სწრაფად გაზიარების სურვილიც. ორუელის სარკაზმი კიდევ ურო სასტიკი ხდება. პილკინგტონის განცხადებით, ღორებისა და ადამიანების ინტერესები არასოდეს დაპირისპირებია ერთმანეთს, ცხოველთა ფერმას მდაბიო ცხოველების პრობლემა, ადამიანთა საზოგადოებას კი დაბალი კლასების საკითხი აქვს მოსაწესრიგებელი (ორუელი, 2012, გვ. 108). ფერმას უბრუნდება ძველი სახელწოდება „მანორის ფერმა“, ასევე, „ამხანაგო“ იცვლება მიმართვით „ჯენტლმენებო“. ამით, ფაქტობრივად, იკვრება წრე. ადამიანები და ცხოველები გაიგივდნენ. ვერც ღორები გახდნენ უკეთესები და ვერც ადამიანებმა დაკარგეს საკუთარ თავში ცხოველური ინსტინქტები. „თორმეტი ბრაზმორეული ხმა ერთად ისმოდა და ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ამჯერად არავინ იკითხავდა, რა დაემართათ სახეზე ღორებს. ფანჯრებთან მდგარ ცხოველებს მზერა ღორიდან ადამიანზე გადაჰქონდათ, ადამიანიდან ღორზე, შემდეგ ღორიდან ისევ ადამიანზე... მაგრამ უკვე შეუძლებელი გამხდარიყო მათი ერთმანეთისაგან გარჩევა“ (ორუელი, 2012, გვ. 110–111).

რომანში არ რეპრეზენტირდება მხოლოდ ძალმომრეობაზე აგებულ საზოგადოება, ასევე ასახულია ადამიანისთვის თანდაყოლილი შინაგანი სისუსტეებიც, რომლებიც თავს არაერთხელ, მუდმივად იჩენს და ყველა შემთხვევაში გამოვლენის ფორმები იცვლება მხოლოდ და არა შინაარსი. ამდენად მასთან ბრძოლაც დაუსრულებელი პროცესია.

ორუელის რომანი „ცხოველების ფერმა“ იგავური ფორმით არამხოლოდ საბჭოთა, ზოგადად, ტოტალიტარულ რეჟიმს აკრიტიკებს და საზოგადოების თავისუფალი ნების ჩახშობის პროცესს განასახოვნებს. ვაჟა-ფშაველას დათვი („დათვი“) სასტიკი მოძალადეა, რომელიც სხვის მიწას (მამულს) იპყრობს და არ შეუძლია ბედნიერად იგრძნოს თავი, ვიდრე ყველა მას არ ემორჩილება.

მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, ორივე მხატვრული ტექსტი ერთნაირად აჩვენებს ძალადობის დაფარულ, ხშირად ძნელად ამოსაცნობ ბუნებას, მის დამანგრეველ ხასიათს, ამასთან,

მკაფიოდ წარმოაჩენს, როგორ შეიძლება დაეცეს ადამიანი, განუკითხაობის მსხვერპლი ხდება ყველა ტიპის სოციუმი, რომელიც მხოლოდ ემორჩილება, ქედს იხრის და არ იბრძვის.

როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე ორუელის ტექსტებში მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი პირობითობით აისახება სხვადასხვა ეპოქის ტირანია, ძალადობის თითქმის სტერეოტიპული ხასიათი, თავისუფლების დაკარგვის დრამატული ბუნება, დაპყრობილი საზოგადოების სოციალური სიბეჩავე, მკაფიოდ ვლინდება, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტს. ძალადობა უნივერსალური ფენომენია და ის, უპირველეს ყოვლისა, პიროვნულ თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს ვერ ეგუება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვაჟა-ფშაველა. (1964). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VI, მოთხრობები, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“
- ვაჟა-ფშაველა. 1964ა). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი IX, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“
- ორუელი, ჯ. (2012). ცხოველების ფერმა, თარგმნა დათო აკრიანმა, თბილისი: „პალიტრა L“
- ორუელი, ჯ. (2016). ლიტერატურა და ტოტალიტარიზმი, თარგმნა დიანა მიქელაძემ, „გულანი“, 20, 319-325, ახალციხე: „ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
- ჩოლოყაშვილი, რ. (2005). ცხოველთა ეპოსი, თბილისი: „ნეკერი“
- ჩოლოყაშვილი, რ. (2002). ცხოველთა ეპოსი და იგავი, ლიტერატურული ძიებანი, 2002, 23, 530-535, თბილისი: „მერანი“

A DICTIONARY OF SYMBOLS. (2001). Second Edition by J. E. CIRLOT, LONDON: Taylor & Francis e-Library.

<https://ia801204.us.archive.org/35/items/DictionaryOfSymbols/Dictionary%20of%20Symbols.pdf>

Трессидер, Дж. (2010-2023) Словарь символов, МЕДВЕДЬ.

https://royallib.com/read/tresidder_dgek/slovar_simvolov.html#614400

Трессидер, Дж. (2010-2023а). Словарь символов, СВИНЬЯ.

https://royallib.com/read/tresidder_dgek/slovar_simvolov.html#921600

References:

- Choloq'ashvili, R. (2005). Tskhovelta ep'osi. [Animal Epic]. Tbilisi: „nek'eri“.
- Choloq'ashvili, R. (2002). Tskhovelta ep'osi da igavi. [Animal Epic and Fable]. Lit'erat'uruli dziebani, 2002, 23, 530-535. Tbilisi: „merani“.
- CirLOT, J. E. (2001). A DICTIONARY OF SYMBOLS. Second Edition by J. E. CIRLOT, LONDON: Taylor & Francis e-Library. <https://ia801204.us.archive.org/35/items/DictionaryOfSymbols/Dictionary%20of%20Symbols.pdf>
- Oruell, J. (2012). Tskhovelebis perma, targmna Dato Ak'rianma. [Animal Farm, translated by Dato Akriani]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Oruell, J. (2016). Lit'erat'ura da t'ot'alit'arizmi, targmna Diana Mikeladzem. [Literature and Totalitarianism, translated by Diana Mikeladze]. „Gulani“, 20, 319-325. Akhaltsikhe: „akhaltsikhis sakhelmts'ipo universit'et'i“.
- Tressider, Dzh. (2010-2023). Slovar' simvolov. MEDVED'. [Dictionary of Symbols, BEAR]. https://royallib.com/read/tresidder_dgek/slovar_simvolov.html#614400
- Tressider, Dzh. (2010-2023a). Slovar' simvolov. SVIN'YA. [Dictionary of Symbols, PIG]. https://royallib.com/read/tresidder_dgek/slovar_simvolov.html#921600
- Vazha-Pshavela. (1964). Tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad. T'omi VI. Motkhrobbi. [Complete Works in Ten Volumes, Volume VI, Stories]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Vazha-Pshavela. (1964a). tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad, t'omi IX. P'ublitsist'uri da etnografiuli ts'erilebi. [Complete Works in Ten Volumes, Volume IX, Journalistic and Ethnographic Letters]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.